## სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

## სამეცნიერო თემატიკაზე მუსიკალური ნაწარმოების შექმნის

## სტუდენტური კონკურსის დებულება

### სტუდენტური კონკურსი „მეცნიერება მუსიკაში“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2020 წლის იანვარში მონაწილეობა ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის **„ჰორიზონტი 2020“ მარი სკლოდოვსკა-კიურის** და მის მიერ წარდგენილმა საგრანტო პროექტმა **“CAPTAIN: Science is the Captain”**, რომლის ბიუჯეტიც 197,500 ევროს შეადგენს, გამარჯვება მოიპოვა. პროექტის სახელწოდება – „კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია“.
პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი 32 05 05).
პროექტის **„კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია“** მიზანია, საზოგადოებამ უკეთ გაიგოს, თუ რა დადებითი ზეგავლენა აქვს მეცნიერ-მკვლევართა საქმიანობას თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, უბიძგოს ახალგაზრდებს სამეცნიერო-კვლევითი კარიერის არჩევისკენ და გააძლიეროს მეცნიერის იმიჯი საზოგადოებაში.
პროექტის ფარგლებში იგეგმება სამეცნიერო თემატიკაზე მუსიკალური ნაწარმოების შექმნის კონკურსის გამოცხადება.

### საკონკურსო პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე პირს, საქართველოში ავტორიზებული პროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. კონკურსზე დაშვებულია სწავლების სამივე საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სტუდენტების მონაწილეობა;
2. კონკურსზე შეიძლება წარდგენილი იქნას ნებისმიერი ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები;
3. თითოეული ნომინაციის შემთხვევაში გასათვალისწინებელი პირობები:

- „საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები ნომინაციაში „ჰიმნი მეცნიერებას“:

- ნაწარმოები შეიძლება იყოს: ნებისმიერი სოლო ინსტრუმენტისთვის; არაუმეტეს 4 ინსტრუმენტისგან შემდგარი ნებისმიერი ანსამბლისთვის; ელექტრონული შესრულებისათვის; ცოცხალი ელექტრონული შესრულებისთვის ე.წ. “Live Electronics”; კომბინირებული ელექტრონული და აკუსტიკური შესრულებისთვის

- „საუკეთესო ელექტრონული მუსიკალური ნაწარმოები“ - ელექტრონული შესრულებისთვის;

„მეცნიერება კაპიტანია“ პროექტს დაფინანსება მიღებული აქვს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ საგრანტო ხელშეკრულების No 955373 ფარგლებში

- „საუკეთესო სოლო ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები“ - ნებისმიერი სოლო ინსტრუმენტისთვის.

4. საკონკურსო მუსიკალური ნაწარმოები შთაგონებული უნდა იყოს ნებისმიერი სამეცნიერო თემატიკით: სამეცნიერო აღმოჩენით, ტექნოლოგიური გარღვევით, ინოვაციური გამოგონებით, სამეცნიერო ჰიპოთეზით, სამეცნიერო ფენომენით, კვლევის პროცესით და სხვ.;
5. საკონკურსო მუსიკალური ნაწარმოები უნდა იყოს კონკურსანტის ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც არ შესრულებულა საჯაროდ;
6. საკონკურსო მუსიკალური ნაწარმოების ქრონომეტრაჟი სამივე ნომინაციისათვის - 3-5 წუთი;
7. საკონკურსო მუსიკალურ ნაწარმოებს თან უნდა ახლდეს აღწერილობა იმის შესახებ, თუ როგორ არის დაკავშირებული ნამუშევარი მეცნიერებასთან. აღწერილობა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: რომელი სამეცნიერო აღმოჩენა, ტექნოლოგიური გარღვევა, ინოვაციური გამოგონება, სამეცნიერო ჰიპოთეზა, სამეცნიერო ფენომენი და გამორჩეული მეცნიერის/გამომგონებლის მოღვაწეობა დაედო საფუძვლად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ მუსიკალურ ნაწარმოებს. სიტყვათა რეკომენდებული რაოდენობა - არაუმეტეს 300 სიტყვისა.

**საკონკურსო ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები**

1. „საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები ნომინაციაში „ჰიმნი მეცნიერებას“:
- ნაწარმოების აღწერილობასთან და კონცეფციასთან შესაბამისობა (სამეცნიერო თემატიკის გატარება და ასახვა ამა თუ იმ ფორმით);
- ნაწარმოების ფორმის გამართულობა;
- საინტერესო ინსტრუმენტული კომბინაცია;
- ინსტრუმენტის // ინსტრუმენტების შესაძლებლობების ორიგინალური ჩვენება;
- ინოვაციური ელემენტების ჩვენება.
2. „საუკეთესო ელექტრონული მუსიკალური ნაწარმოები“:
- ნაწარმოების აღწერილობასთან და კონცეფციასთან შესაბამისობა (სამეცნიერო თემატიკის გატარება და ასახვა ამა თუ იმ ფორმით);
- ნაწარმოების ფორმის გამართულობა;
- ინოვაციური ელემენტების ორიგინალური ჩვენება;
3. „საუკეთესო სოლო ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები“:
- ნაწარმოების აღწერილობასთან და კონცეფციასთან შესაბამისობა (სამეცნიერო თემატიკის გატარება და ასახვა ამა თუ იმ ფორმით);
- ნაწარმოების ფორმის გამართულობა;
- საკრავის შესაძლებლობების ორიგინალური ჩვენება.

„მეცნიერება კაპიტანია“ პროექტს დაფინანსება მიღებული აქვს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ საგრანტო ხელშეკრულების No 955373 ფარგლებში

**საკონკურსო მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების პირობები და უფლებები**

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ევროკომისიას და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს უსასყიდლოდ გადაეცემათ უფლება საქართველოს და ევროკავშირის მასშტაბით გამოიყენონ გამარჯვებული კონკურსანტების სახელები და გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოებები კონკურსთან დაკავშირებით, პროექტის მიზნებისათვის;
2. გამარჯვებული საკონკურსო ნაწარმოებები შეიძლება გამოყენებული იყოს „მეცნიერება კაპიტანია" პროექტის, ასევე ევროკომისიის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მეცნიერების პოპულარიზაციისა და კომუნიკაციის მიზნებისათვის ავტორთა ვინაობის მითითებით;
3. მუსიკალური ნაწარმოებების საავტორო უფლებები რჩება კონკურსანტების საკუთრებაში, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების ნებართვა გადაცემულია პროექტისათვის „მეცნიერება კაპიტანია“

„მეცნიერება კაპიტანია“ პროექტს დაფინანსება მიღებული აქვს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ საგრანტო ხელშეკრულების No 955373 ფარგლებში